

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება

შპს „გიუანი“

ს/ნ 404381245

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

„გიუანი“
(ანგარიშება მომზადებულია ლარში)

სარჩევი:

1. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშება.....	3
2. მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშება	5
3. საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშება.....	7
4. ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	9-23

„გიუანი“

ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ლარში)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

		12/31/2023	12/31/2022
აქტივები			
ვრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	3	5,709,761	5,362,000
არამატერიალური აქტივები	4	7,730	-
ბიოლოგიური აქტივი		8,500	9,000
გაცემული სესხები		-	50,000
		5,725,991	5,421,000
მოკლევადიანი აქტივები			
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	5	11,428	2,000
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	6	1,335,166	948,000
მარაგები	7	2,669,167	2,697,000
მისაღები დივიდენდები და პროცენტები		-	24,000
		4,015,761	3,671,000
მთლიანი აქტივები		9,741,752	9,092,000
მთლიანი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		2,238,100	2,238,000
გადაფასების რეზერვი		-	-
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		(8,528,369)	(6,631,000)
		(6,290,269)	(4,393,000)
ვალდებულებები			
ვრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	8	8,151,664	12,292,000
		8,151,664	12,292,000
მოკლევადიანი ვალდებულებები			
მოკლევადიანი სესხები	8	589,632	599,000
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	9	937,337	546,000
საგადასახადო ვალდებულებები		66,956	48,000
გადასახდელი პროცენტი		6,286,432	-
		7,880,357	1,193,000
მთლიანი ვალდებულებები		16,032,022	13,485,000
მთლიანი კაპიტალი & ვალდებულებები		9,741,752	9,092,000

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და გამოსაცემად ნებადართულია დირექტორთა საბჭოს მიერ 2024 წლის 20 სექტემბერს შემდეგი პირის მიერ:

დირექტორი

გიორგი სურგულაძე

9 - 22 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

„გიუანი“

ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ლარში)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

		12/31/2023	12/31/2022
აქტივები			
კრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	3	5,709,761	5,362,000
არამატერიალური აქტივები	4	7,730	-
ბიოლოგიური აქტივი		8,500	9,000
გაცემული სესხები		-	50,000
		5,725,991	5,421,000
მოკლევადიანი აქტივები			
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	5	11,428	2,000
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	6	1,335,166	948,000
მარაგები	7	2,669,167	2,697,000
მისაღები დივიდენდები და პროცენტები		-	24,000
		4,015,761	3,671,000
შთლიანი აქტივები		9,741,752	9,092,000
შთლიანი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		2,238,100	2,238,000
გადაფასების რეზერვი		-	-
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		(8,528,369)	(6,631,000)
		(6,290,269)	(4,393,000)
ვალდებულებები			
კრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	8	8,151,664	12,292,000
		8,151,664	12,292,000
მოკლევადიანი ვალდებულებები			
მოკლევადიანი სესხები	8	589,632	599,000
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	9	937,337	546,000
საგადასახადო ვალდებულებები		66,956	48,000
გადასახდელი პროცენტი		6,286,432	-
		7,880,357	1,193,000
შთლიანი ვალდებულებები		16,032,022	13,485,000
შთლიანი კაპიტალი & ვალდებულებები		9,741,752	9,092,000

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და გამოსაცემად ნებადართულია დირექტორთა საბჭოს მიერ 2024 წლის 20 სექტემბერს შემდეგი პირის მიერ:

დირექტორი



გიორგი სურგულაძე

„გიუანი“

ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ლარში)

მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

		2023	2022
ამონაგები	10	3 011 524	2 013 000
თვითღირებულება		(1 142 231)	(922 000)
საერთო მოგება		1 869 293	1 091 000
სხვა შემოსავლები	11	151 151	458 000
ზოგადი & ადმინისტრაციული ხარჯი	12	(2 355 470)	(1 464 000)
მიწოდების დანახარჯები	13	(201 910)	(187 000)
სხვა შემოსულობები/(ზარალი) - წმინდა	14	705 786	470 000
სხვა ხარჯები	15	(719 951)	000)
საოპერაციო მოგება		(551 102)	344 000
ფინანსური შემოსავალი	16	-	-
ფინანსური ხარჯი	16	(1 283 422)	(1 067 000)
ფინანსური ხარჯი - წმინდა		(1 283 422)	(1 067 000)
მოგება დაბეგვრამდე		(1 834 523)	(723 000)
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
წმინდა მოგება		(1 834 523)	(723 000)
სხვა სრული შემოსავალი:			
შემოსულობა მიწისა და შენობების გადაფასებიდან, გადასახადების გამოკლებით		-	-
მთლიანი სრული შემოსავალი		(1 834 523)	(723 000)

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და გამოსაცემად ნებადართულია დირექტორთა საბჭოს მიერ 2024 წლის 20 სექტემბერს შემდეგი პირის მიერ:

დირექტორი

გიორგი სურგულაძე

9 - 22 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

„გიუანი“

ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ლარში)

მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

		2023	2022
ამონაგები	10	3 011 524	2 013 000
თვითღირებულება		(1 142 231)	(922 000)
საერთო მოგება		1 869 293	1 091 000
სხვა შემოსავლები	11	151 151	458 000
ზოგადი & ადმინისტრაციული ხარჯი	12	(2 355 470)	(1 464 000)
მიწოდების დანახარჯები	13	(201 910)	(187 000)
სხვა შემოსულობები/(ზარალი) - წმინდა	14	705 786	470 000
სხვა ხარჯები	15	(719 951) 000)	(24
საოპერაციო მოგება		(551 102)	344 000
ფინანსური შემოსავალი	16	-	-
ფინანსური ხარჯი	16	(1 283 422)	(1 067 000)
ფინანსური ხარჯი - წმინდა		(1 283 422)	(1 067 000)
მოგება დაბეგვრამდე		(1 834 523)	(723 000)
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
წმინდა მოგება		(1 834 523)	(723 000)
სხვა სრული შემოსავალი:			
შემოსულობა მიწისა და შენობების გადაფასებიდან, გადასახადების გამოკლებით		-	-
მთლიანი სრული შემოსავალი		(1 834 523)	(723 000)

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და გამოსაცემად ნებადართულია დირექტორთა საბჭოს მიერ 2024 წლის 20 სექტემბრის მმდგომარეობით:

დირექტორი



გიორგი სურგულაძე

„გიუანი“

ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ლარში)

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

	საწესდებო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2022 წლის 1 იანვარი	2 238 000	-	(5 908 000)	(3 670 000)
წმინდა მოგება	-	-	(723 000)	(723 000)
სხვა სრული შემოსავალი	-	-	-	-
პერიოდის სრული შემოსავალი	-	-	(723 000)	(723 000)
გაცემული დივიდენდი	-	-	-	-
2022 წლის 31 დეკემბერი	2 238 000	-	(6 631 000)	(4 393 000)
წმინდა მოგება	-	-	(1 834 523)	(1 834 523)
ცვლილება საწესდებო კაპიტალში	100	-	-	100
პერიოდის სრული შემოსავალი	100	-	(1 834 523)	(1 834 423)
გაცემული დივიდენდი	-	-	-	-
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	-	-	(62 846)	(62 846)
2023 წლის 31 დეკემბერი	2 238 100	-	(8 528 369)	(6 290 269)

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და გამოსაცემად ნებადართულია დირექტორთა საბჭოს მიერ 2024 წლის 20 სექტემბერს შემდეგი პირის მიერ:

დირექტორი

გიორგი სურგულაძე

9 - 22 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

„გიუანი“

ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ლარში)

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

	საწესდებო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2022 წლის 1 იანვარი	2 238 000	-	(5 908 000)	(3 670 000)
წმინდა მოგება	-	-	(723 000)	(723 000)
სხვა სრული შემოსავალი	-	-	-	-
პერიოდის სრული შემოსავალი	-	-	(723 000)	(723 000)
გაცემული დივიდენდი	-	-	-	-
2022 წლის 31 დეკემბერი	2 238 000	-	(6 631 000)	(4 393 000)
წმინდა მოგება	-	-	(1 834 523)	(1 834 523)
ცვლილება საწესდებო კაპიტალში	100	-	-	100
პერიოდის სრული შემოსავალი	100	-	(1 834 523)	(1 834 423)
გაცემული დივიდენდი	-	-	-	-
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	-	-	(62 846)	(62 846)
2023 წლის 31 დეკემბერი	2 238 100	-	(8 528 369)	(6 290 269)

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და გამოსაცემად ნებადართულია დირექტორთა საბჭოს მიერ 2024 წლის 20 სექტემბერს შემდგომი პერიოდის მიერ:

დირექტორი



გიორგი სურგულაძე

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2023 წლის 31 დეკემბრის

დასრულებული წლისთვის

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს გიუანი (შემდგომში – კომპანია) დაფუძნდა 2010 წლის 8 აპრილს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის იურიდიულ-სამართლებრივი ფორმა არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს).

კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, თამარ მეფის N 2.. 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის კაპიტალის 100% წილის მფლობელია: კახა გიუაშვილი, პ/ნ 01024006334.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ღვინის წარმოება. 2018 წლიდან საქმიანობის სფეროს დაემატა სარესტორნო მომსახურება. 2021 წლიდან საფუძველი ჩაეყარა სასტუმროს მომსახურების სფეროს და 2022 წლიდან დაემატა დამატებითი საქმიანობა.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკა თანმიმდევრულადაა გამოყენებული ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ყველა ინფორმაციაზე, თუ ეს სხვაგვარად არაა აღნიშნული.

მომზადების საფუძვლები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად. იგი წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც წარმოადგენს კომპანიის სამუშაო ვალუტას.

კომპანია ფინანსურ ანგარიშგებას მომზადებისას იყენებს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ გამოცემული „ბრძანება №6-6“-ში მოცემულ მე-3 კატეგორიის საწარმოებისთვის განკუთვნილ შედავას და არ წარადგენს ფულადი ნაკადების ანგარიშგებას.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია დაშვებით, რომ კომპანია არის ფუნქციონირებადი საწარმო და გააგრძელებს მოღვაწეობას მომავალში. ხელმძღვანელობას განზრახული არ აქვს მისი ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა და არც იძულებული არ არის.

კომპანიის საანგარიშო პერიოდი კალენდარული წელია 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით. კომპანია ფინანსურ ანგარიშგებას წარადგენს წელიწადში ერთხელ.

შემოსავლების აღიარება

შემოსავალი აღიარდება, როცა მოსალოდნელია, რომ კომპანია ეკონომიკურ სარგებელს მიიღებს და შემოსავლის გაზომვა საიმედოადაა შესაძლებელი, მიუხედავად იმისა, თუ როდის გახორციელდება თანხის მიღება. ამონაგების შეფასება უნდა მოხდეს მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობებისა და გადასახადების გათვალისწინებით. კომპანია საქმიანობს როგორც მარწმუნებელი, რადგან იგი ჩვეულებრივ აკონტროლებს საქონელს ან მომსახურებას მომხმარებლისთვის გადაცემამდე. შემოსავალი შემცირებულია მოსალოდნელი უკანაბრუნებით, მოსალოდნელი ფასდაკლებით და მსგავსი ანარიცხებით.

- პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლები

პროდუქციის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც დაკმაყოფილებული იქნება ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი პირობა:

- კომპანია მყიდველს გადასცემს პროდუქციის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკს და სარგებელს;
- კომპანია არ ინარჩუნებს უწყვეტ მენეჯერულ მონაწილეობას იმ დონით, რომელიც, ჩვეულებრივ, საკუთრების უფლებასთან ასოცირდება და არც გაყიდულ საქონელზე ეფექტურ კონტროლს არ ახორციელებს; - შესაძლებელია ამონაგების თანხის საიმედოდ განსაზღვრა;
- მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს; და
- შესაძლებელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებული უკვე გაღებული ან მომავალ პერიოდში გასაწევი ხარჯების საიმედოდ განსაზღვრა.

- მომსახურების გაწვიდან მიღებული შემოსავლები

მომსახურების გაწვიდან მიღებული შემოსავლები აღიარდება როცა დაკმაყოფილებულია შემდეგი პირობები:

- ამონაგების თანხის განსაზღვრა შესაძლებელია საიმედოდ;
- მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში;
- შესაძლებელია მომსახურების მიწოდების ხელშეკრულების შესრულების სტადიის საიმედოდ დადგენა, საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს;

სხვა შემოსავალი

სხვა შემოსავალი საქონლის მიწოდებიდან ამონაგებისა და საპროცენტო შემოსავლების გარდა, აღიარდება როდესაც არსებობს რწმუნება, რომ კომპანია განხორციელებული ოპერაციიდან მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ შეფასება.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის მიხედვით, საბუღალტრო აღრიცხვაში და ფინანსურ ანგარიშგებაში გამოყენებულია ხარჯების ფუნქციების მიხედვით კლასიფიკაცია, რომელიც უფრო საიმედო და შესაბამისია კომპანიის სამეურნეო პროცესების ასახვისთვის და ასევე ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებისთვის

მოგების გადასახადი

საქართველოში მოქმედი საგადასახადო სისტემის სპეციფიკური ხასიათიდან გამომდინარე, არ არსებობს განსხვავება საქართველოში რეგისტრირებული და მოქმედი კომპანიების აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებსა და საგადასახადო ბაზებს შორის, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს დროებითი სხვაობები და წარმოქმნას გადავადებული მოგების გადასახადი აქტივის, ან ვალდებულების სახით.

2016 წელს საქართველოს მთავრობამ ცვლილებები შეიტანა საქართველოს საგადასახადო კოდექსში, რომლის მიხედვითაც კომპანია ვალდებული არ არის გადაიხადოს მოგების გადასახადი 2017 წლის 1 იანვრიდან გამომუშავებულ მოგებაზე მანამ, სანამ არ მოხდება სავალდებულო მოვლენა.

სავალდებულო მოვლენა არის ქმედება, რომელიც იწვევს მოგების გადასახადის გადახდის ვალდებულებას. სავალდებულო ქმედება მოიცავს დივიდენდების განაწილებას, ხარჯებსა და გადახდებს, რომლებიც დაკავშირებული არ არიან ეკონომიკურ საქმიანობასთან, ასევე პრივილეგირებულ საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციის ქვეყნებში რეგისტრირებულ საწარმოებზე გადახდილ ავანსებს, უსაბუთო ხარჯებს და საქართველოს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებულ სხვა ქმედებებს.

მოგების გადასახადის ხარჯი წარმოადგენს მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებას. მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება ეფუძნება საანგარიშო წლის განმავლობაში განაწილებულ დასაბეგრ მოგებას.

მოგების გადასახადით დასაბეგრი თანხა გამოითვლება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. მოგების განაკვეთი არის 15%, რომლის გადახდაც ხდება ხაზინის ერთიან ანგარიშზე და რომელიც გამოიყენება ყველა გადასახადისთვის.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს პროდუქციისა და მომსახურების შესყიდვის შედეგად წარმოქმნილ ვალდებულებას მომწოდებლის წინაშე. კომპანია ვალდებულებას აღიარებს მოკლევადიანად თუ მისი დაფარვა მოსალოდნელია საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ 12 თვის განმავლობაში. სხვა შემთხვევაში ვალდებულება წარსდგება როგორც გრძელვადიანი. სავაჭრო ვალდებულება თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით. ფინანსური ვალდებულებები შემდგომ აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო მეთოდის მიხედვით.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები წარმოადგენს აქტივთა ჯგუფს, რომლის კონვერტირებაც შესაძლებელია წინასწარ განსაზღვრული ღირებულებით და უმნიშვნელო რისკის მატარებელია ღირებულების ცვლილებების თვალსაზრისით. კომპანიის ფული და ფულადი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, შეზღუდულ და შეუზღუდავ ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე.

უცხოური ვალუტა

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში აისახება ოპერაციის მოხდენის თარიღისათვის საქართველოს ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად ლარში, თუ სხვა რამ არ არის დადგენილი. უცხოურ ვალუტაში გამოსახული მუხლები ყოველი საანგარიშო პერიოდისთვის გადაანგარიშდება ამ თარიღისთვის ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. საკურსო სხვაობების შედეგად წარმოქმნილი ყველა რეალიზებული და არარეალიზებული შემოსულობა და ზარალი აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. ქვემოთ

„გიუანი“

ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ლარში)

მოცემულია წლის ბოლოს არსებული სავალუტო კურსები, რომელიც კომპანიამ გამოიყენა ანგარიშგების მომზადებისას.

	31/12/2023	31/12/2022
1 USD/GEL	2.6894	2.7020
1 EUR/GEL	2.9753	2.8844
1 RUB/GEL	2.9916	3.6770
1 GBP/GEL	3.4228	3.2581

მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები წამოიქმნება მომხმარებლისათვის პროდუქციის მიწოდებისა ან მომსახურების გაწევისას. კომპანია სავაჭრო მოთხოვნებს აღიარებს მოკლევადიანად თუ მისი დაფარვა მოსალოდნელია საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ 12 თვის განმავლობაში. სხვა შემთხვევაში ვალდებულება წარსდგება როგორც გრძელვადიანი. სავაჭრო მოთხოვნა საწყისად აღიარდება რეალური ღირებულებით.

ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში

ინვესტიციები შვილობილ და მეკავშირე საწარმოებში აღირიცხება თვითღირებულებით. შვილობილ საწარმოებში ინვესტიციის თანხები ელიმინირდება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

შვილობილ და მეკავშირე საწარმოებში განხორციელებული ინვესტიციებიდან მიღებული დივიდენდები მაშინ აღიარდება, როდესაც ძალაში შევა კომპანიის უფლება დივიდენდების მიღების შესახებ. იგი აისახება სხვა შემოსავლის მუხლში.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია ისტორიულ ღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება. ძირითადი საშუალების ისტორიული ღირებულება მოიცავს:

ა) მისი შესყიდვის ფასს, საიმპორტო ბაჟისა და დაუბრუნებადი გადასახადების ჩათვლით, ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობისა და შეღავათის გარეშე;

ბ) ნებისმიერ დახარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასთან და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან, რაც აუცილებელია ხელმძღვანელობის მიერ დასახული ამოცანების მიზნებისათვის აქტივის გამოსაყენებლად;

გ) აქტივის დემონტაჟის, ლიკვიდაციისა და ადგილმდებარეობის ადგენის დახარჯების თავდაპირველ შეფასებას, რის ვალდებულებასაც საწარმო იღებს შეძენის მომენტში ან, შემდეგში, როდესაც გარკვეული დროის განმავლობაში საწარმო იყენებს აქტივს სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების წარმოებისაგან განსხვავებული საქმიანობისათვის.

ძირითადი საშუალებების შეძენის შემდგომი დანახარჯები უნდა დაემატოს ამ აქტივის ღირებულებას, ან აღიარდეს ცალკე აქტივად, თუ: მოსალოდნელია, რომ საწარმო მომავალში ამ აქტივის გამოყენებით მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს; და საწარმოსათვის შესაძლებელია აქტივის ღირებულების საიმედოდ შეფასება. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც

„გიუანი“

ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ლარში)

დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში. ძირითადი საშუალებების ჯგუფების სასარგებლო მომსახურების ვადები წარმოადგენილია შემდეგნაირად:

შენობა ნაგებობები	50
მანქანა დანადგარები	20
კომპიუტერები და საკომუნიკაციო აღჭურვილობა	5
საოფისე აღჭურვილობა	5
სატრანსპორტო სასაშუალებები	5
სხვა აქტივები	5

ძირითადი საშუალების ობიექტის აღიარება წყდება მისი გასხვისებისას ან მაშინ, როდესაც მისი შემდგომი გამოყენებიდან მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული წმინდა ანაზღაურების სხვაობით.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები, რომლებსაც სასარგებლო გამოყენების განსაზღვრული ვადა აქვთ, აღირიცხება თვითღირებულებით, რომელსაც აკლდება დაგროვილი ამორტიზაცია და დაგროვილი გაუფასურების ზარალი. ამორტიზაცია გამოითვლება შემცირებადი ნაშთის მეთოდით.

მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით.

მარაგის თვითღირებულება მოიცავს შეძენის და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მარაგების თვითღირებულება მცირდება მიღებული ფასდაკლებით.

მარაგების შეძენის დანახარჯები მოიცავს მათი შეძენის ფასს, საიმპორტო საბაჟო გადასახადს და სხვა გადასახადებს (გარდა იმ გადასახადებისა, რომლებიც საგადასახადო ორგანოებმა კომპანიას უნდა დაუბრუნოს), სატრანსპორტო, დატვირთვა-გადმოტვირთვის დანახარჯებს და, საერთოდ, იმ დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდ არის დაკავშირებული მზა პროდუქციის, ნედლეულის, მასალებისა და მომსახურების შეძენასთან. სხვადასხვა სახის ფასდათმობები არ ჩაირთვება შეძენის დანახარჯების გაანგარიშებებში. მარაგების თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის ჩვეულებრივი სამეურნეო პროცესისათვის შეფასებითი გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით.

მატერიალური და არამატერიალური აქტივების გაუფასურება

ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს კომპანია გადახედავს მატერიალური და არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულებებს, რომ განსაზღვროს, არსებობს თუ არა ამ აქტივების გაუფასურების

ნიშნები. ასეთი ნიშნების არსებობის შემთხვევაში, ფასდება ამ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება იმისათვის, რომ განისაზღვროს გაუფასურების ზარალის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მასშტაბი. თუ შეუძლებელია ცალკეული აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების განსაზღვრა, კომპანია აფასებს იმ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებად ღირებულებას, რომელსაც ეს აქტივი მიეკუთვნება. თუ არსებობს განაწილების გონივრული და თანმიმდევრული საფუძველი, კორპორაციული აქტივები ასევე ნაწილდება ფულადი სახსრების წარმომქმნელ ცალკეულ ერთეულებზეც, ან სხვა შემთხვევაში, ისინი ნაწილდება ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულების უმცირეს ჯგუფზე, რომლისთვისაც შეიძლება განისაზღვროს განაწილების გონივრული და თანმიმდევრული საფუძველი.

თუ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) ანაზღაურებადი ღირებულება შეფასებულია, როგორც მის საბალანსო ღირებულებაზე ნაკლები, მაშინ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება მცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე. გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება დაუყოვნებლივ მოგებაში ან ზარალში.

თუ გაუფასურების ზარალი შემდგომში შებრუნდება, აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება და შეადგენს მისი ანაზღაურებადი ღირებულების გადასინჯულ ოდენობას, მაგრამ ისე, რომ გაზრდილი საბალანსო ღირებულება არ აღემატებოდეს იმ საბალანსო ღირებულებას, რომელიც განისაზღვრებოდა, წინა წლებში აქტივზე (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულზე) გაუფასურების ზარალი რომ არ ყოფილიყო აღიარებული. გაუფასურების ზარალის შებრუნების აღიარება ხდება დაუყოვნებლივ მოგებაში ან ზარალში.

ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური აქტივები აღიარდება მაშინ როდესაც კომპანია ხდება სახელმეკრულებო ურთიერთობის მონაწილე მხარე. ფინანსური აქტივები შედგება ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ეკვივალენტებისაგან და სავაჭრო და სხვა მოთხოვნებისაგან. საწარმო სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს თავდაპირველი აღიარებისას აფასებს გარიგების ფასით.

შემდგომში ფინანსური აქტივების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულება გადაიხედება, რათა მოხდეს განისაზღვროს არსებობს თუ არა მოთხოვნების გაუფასურების ობიექტური მტკიცებულებები. მათი არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში. თუ შემდგომ პერიოდში აქტივის გაუფასურების ზარალის თანხა შემცირდა და ამ შემცირების ობიექტურად დაკავშირება შესაძლებელია გაუფასურების აღიარების შემდგომ წარმოშობილ მოვლენასთან, საწარმო აღადგენს წინა პერიოდებში წარმოშობილი გაუფასურების ზარალს გაუფასურების რეზერვის ანგარიშის კორექტირებით, ისე რომ გაუფასურების ზარალის აღდგენის შედეგად ფინანსური აქტივის საბალანსო ღირებულება (გაუფასურების რეზერვის ანგარიშის თანხების გამოკლებით) არ იყოს იმ თანხაზე მეტი, რაც იქნებოდა აქტივის საბალანსო ღირებულება იმ შემთხვევაში, თუ წინა პერიოდებში არ მოხდებოდა გაუფასურების აღიარება. საწარმო გაუფასურების კომპენსირების თანხას დაუყოვნებლივ აღიარებს მოგებაში ან ზარალში.

საწარმო წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას როდესაც: (ა) ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების სახელმეკრულებო უფლებებს ვადა გასდის, ან ფულადი სახსრები მთლიანად უკვე მიღებულია; (ბ) საწარმო ფინანსური აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს გადასცემს სხვა მხარეს; ან (გ) საწარმო, მიუხედავად იმისა, რომ იტოვებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ზოგიერთ მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს, სხვა მხარეს გადასცემს აქტივის კონტროლის ფინანსური ვალდებულებები შედგება აღებული სესხებისა და სავაჭრო და სხვა ვალდებულებებისაგან.

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ვალდებულებებს, რომლებიც წარმოიქმნება სტანდარტული საკრედიტო პირობებით და თავდაპირველად აისახება გარიგების ფასით. საბანკო სესხები თავდაპირველად აღირიცხება გარიგების ფასით, გარიგების დანახარჯები აღიარდება მოგებაში ან ზარალში. ფინანსური

„გიუანი“

ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ლარში)

ვალდებულებები შემდგომში ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

სასესხო ვალდებულებებზე დარიცხული საპროცენტო ხარჯი აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც იგი გაწეულ იქნა და კლასიფიცირდება როგორც ფინანსური ხარჯი. საწარმო ფინანსური ვალდებულების აღიარებას მხოლოდ იმ შემთხვევაში წყვეტს, როდესაც ის შესრულებდა, ე.ი. როდესაც ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება დაიფარება, გაუქმდება ან ვადა გაუვა.

საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება წესდებით. კომპანიის წესდების ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ დამფუძნებლის გადაწყვეტილების საფუძველზე. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლის მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლის შენატანების რეალური ღირებულებით.

ლივიდენდი

ლივიდენდების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც წარმოშობილია მათი გადახდის იურიდიული მოვალეობა. ლივიდენდები აღიარდება, როგორც ვალდებულება და შესაბამისი თანხით მცირდება კაპიტალი. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებამდე გამოქვეყნებული ლივიდენდები განიმარტება ბალანსის შემდგომ მოვლენებში.

ხელფასები

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

იჯარა

იჯარა აღიარდება ფინანსურ იჯარად თუ ხორციელდება აქტივთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი რისკის და სარგებლის გადაცემა. სხვა დანარჩენი იჯარა კლასიფიცირდება როგორც საოპერაციო იჯარა.

საოპერაციო იჯარის გადასახადების აღიარება ხდება ხარჯის სახით იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სხვა სქემა უფრო ზუსტად ასახავს საიჯარო აქტივიდან ეკონომიკური სარგებლის მოხმარების სისტემატურობას.

დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები და ნაშთები

ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) 33-ე განყოფილების შესაბამისად, მხარეები განიხილება როგორც დაკავშირებული, თუ ერთ მხარეს აქვს შესაძლებლობა გააკონტროლოს ან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მეორე მხარის ფინანსური ან საოპერაციო გადაწყვეტილების მიღებაში.

თითოეული შესაძლო დაკავშირებულ მხარეთა ურთიერთობების განსაზღვრისას, ყურადღება გამახვილებულია არა მარტო იურიდიულ ფორმაზე, არამედ ამ ურთიერთობის შინაარსზეც.

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

მოვლენები, რომლებიც თავს იჩენს საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებამდე და გავლენას ახდენს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე, ასახულია წინამდებარე ანგარიშგებაში. ხოლო მოვლენები, რომლებიც თავს იჩენს საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებამდე და გავლენას არ ახდენს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე, აისახება ახსნა-განარტებით შენიშვნებში.

ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

კომპანია ანარიცხებს აღიარებს მხოლოდ მაშინ, როდესაც წარსული მოვლენების შედეგად წარმოიქმნება მიმდინარე ვალდებულება, მოსალოდნელია რესურსების გადინება და ვალდებულების ოდენობა შესაძლებელია შეფასდეს საიმედოდ.

პირობითი ვალდებულებები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში არ აღიარდება. პირობითი ვალდებულებები აისახება მხოლოდ ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეკონომიკური სარგებლის გასვლის ალბათობა უმნიშვნელოა. პირობით აქტივები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში არ აღიარდება. ის აისახება ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, თუ მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა.

3. მნიშვნელოვანი საადრიცხვო შეფასებები და მსჯელობები

კომპანია ახდენს გარკვეული საადრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომლებიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

3.1 ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები

ძირითად საშუალებებსა და არამატერიალურ აქტივებზე ცვეთისა და ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადების განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაში აპირებს კომპანია აქტივიდან სარგებლის მიღებას. კომპანიის მენეჯმენტი სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრის დროს ითვალისწინებს მსხმგავსი აქტივების გამოყენების გამოცდილებას, აქტივების ტექნიკურ მოძველებასა და ფიზიკურ მდგომარეობას. პერიოდულად ხდება შეფასებების სისწორის შემოწმება. საადრიცხვო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის სრული შემოსავლის მუხლებში.

3.2 საექვო და უიმედო ვალების რეზერვი

სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურები რეზერვი ეყრდნობა კომპანიის მიერ იმის შეფასებას, თუ რამდენად მოსალოდნელია გარკვეული დებიტორებისგან თანხების ამოღება. აღნიშნული რეზერვის შეფასებისას კომპანიის ხელმძღვანელობა ინდივიდუალურად აფასებს თითოეულ დებიტორს და განიხილავს მის გადახდისთვის მზაობას.

„გიუანი“

ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ლარში)

შენიშვნა 3

ძირითადი

საშუალებები

	მიწის ნაკვეთები	შენობები	მანქანა- დანადგარები	ავჯი და ადჭურვილობა	სატრანსპორტო საშუალებები	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	სულ
31-Dec-22	1,437,877	3,062,400	1,333,362	949,007	21,868	296,507	7,101,021
შემოსვლა	-	405,630	7,700	252,326	17,786	3,072	686,513
გასვლა	-	-	-	-	(11,990)	-	(11,990)
31-Dec-23	1,437,877	3,468,030	1,341,062	1,201,333	27,664	299,579	7,775,544
ცვეთა და გაუფასურება							
31-Dec-23	-	(615,335)	(696,109)	(403,872)	(15,161)	(8,981)	(1,739,459)
პერიოდის ცვეთა	-	(124,646)	(65,446)	(127,789)	(1,126)	(14,969)	(333,976)
გაუფასურება	-	-	-	-	-	-	-
გასვლა	-	-	-	-	7,652	-	7,652
31-Dec-23	-	(739,981)	(761,555)	(531,662)	(8,635)	(23,950)	(2,065,783)
წმინდა საბალანსო დირიგებულება							
31-Dec-22	1,437,877	2,447,065	637,253	545,134	6,707	287,525	5,361,563
31-Dec-23	1,437,877	2,728,049	579,507	669,671	19,029	275,629	5,709,761

შენიშვნა 4
არამატერიალური
აქტივები

	არამატერიალური აქტივები	სულ
31.დეკ.22	9 736	9 736
შემოსვლა	3 722	3 722
გასვლა	-	-
31.დეკ.23	13 458	13 458
ცვეთა და გაუფასურება		-
31.დეკ.23	(5 020)	(5 020)
პერიოდის ცვეთა	(707)	(707)
გაუფასურება	-	-
გასვლა	-	-
31.დეკ.23	(5 728)	(5 728)
წმინდა საბალანსო ღირებულება		-
31.დეკ.22	4 716	4 716
31.დეკ.23	7 730	7 730
ნეტო საბალანსო ღირებულება:		5 709 761,48
ნეტო საბალანსო ღირებულება:		7 729,93

შენიშვნა 5
ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

	2023	2022
ნაღდი ფული სალაროში	1 730	1 000
ეროვნული ვალუტა ბანკში	9 130	1 000
უცხოური ვალუტა ბანკში	569	-
სულ	11 428	2 000

„გიუანი“

ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ლარში)

შენიშვნა 6

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2023	2022
სავაჭრო მოთხოვნები - ნეტო	1 165 959	948 000
გადახდილი ავანსები	168 292	
მოთხოვნა დაკავშირებული მხარეებისადმი	914	
დაკავშირებულ მხარეზე გაცემული სესხი	-	
სულ	1 335 166	948 000

შენიშვნა 7

მარაგები

	2023	2022
ნედლეული და მასალები	454 000	382 000
დაუმთავრებელი წარმოება	695 885	876 000
მზა პროდუქცია	1 255 512	1 165 000
სხვადასხვა ინვენტარი	253 566	41 000
საზარეუო მასალები	10 205	233 000
სულ	2 669 167	2 697 000

შენიშვნა 8

სესხები

	2023	2022
გრძელვადიანი		
საბანკო სესხები	-	
ფინანსური იჯარის ვალდებულება (გრძელვადიანი ნაწილი)	(0)	
სხვა სესხები	9 149 929	12 292 000
სულ სესხები	9 149 929	12 292 000

მოკლევადიანი

საბანკო სესხები (მოკლევადიანი)	90 500	599 000
გრძელვადიანი სესხის მიმდინარე ნაწილი	(499 132)	
ფინანსური იჯარის ვალდებულება (მოკლევადიანი ნაწილი)	0	
	(408 632)	599 000
სულ სესხები	8 741 297	12 891 000

„გიუანი“

ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ლარში)

მიღებული გრძელვადიანი სესხები:

1. შპს ბიონატურალსი (ლარი), დაფარვის ვადა 2032 წლის 1 ოქტომბრამდე, საპროცენტო განაკვეთი წლიურ 12%.
2. შპს კეიჯი (ევრო) 7% -იანი საპროცენტო განაკვეთით, დაფარვის ვადა 2033 წლის 16 ნოემბერი.
3. ფიზიკური პირი კახა გიუაშვილი (ლარი, USD, EUR), დაფარვის ვადა 2032 წლის 1 ოქტომბერი, წლიური საპროცენტო განაკვეთი - ლარი - 18%-ს; USD - 6%-ს; EUR - 6%.
4. გაერთიანებული საფინანსო ჯგუფი, წლიური საპროცენტო განაკვეთი 18%.

მოკლევადიანი საბანკო სესხები:

1. საკრედიტო ხაზი - სს ტერაბანკი, წლიური ეფექტური საპროცენტო განაკვეთი 15,14%; დაფარვის ვადა 2024 წლის 5 დეკემბერი.
2. საკრედიტო ხაზი - სს მისო ინტელექსპრესი, წლიური ეფექტური საპროცენტო განაკვეთი 18%, დაფარვის ვადა 2024 წლის 1 დეკემბერი.

გაცემული გრძელვადიანი სესხი - შპს რეიხს ბეიკერი-მზამზარეული, წლიური საპროცენტო განაკვეთი 19%, დაფარვის ვადა 2026 წლის 2 თებერვალი.

შენიშვნა 9

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	2023	2022
სავაჭრო ვალდებულებები	639 638	546 000
გადასახდელი ხელფასები	8	
	477	
მიღებული ავანსები	271 784	
სხვა ვალდებულებები	17	
	438	
სულ	937 337	546 000

შენიშვნა 10

ამონაგები

	2023	2022
საქონლის გაყიდვა	1 667 800	2 013 000
მომსახურების გაწევა	1 343 724	
სულ	3 011 524	2 013 000

შენიშვნა 11

სხვა შემოსავალი

	2023	2022
საიჯარო შემოსავალი	151 119	138 000
ფინანსური შემოსავალი	-	270 000
შემოსავალი სახელმწიფო დაფინანსებიდან	-	50 000
არასაოპერაციო მოგება	32	

„გიუანი“

ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ლარში)

სულ	151 151	458 000
------------	----------------	----------------

შენიშვნა 12

ზოგადი და ადმონისტრაციული ხარჯები

	2023	2022
შრომის ანაზღაურება	(1 234 470)	(841 000)
მივლინების ხარჯები	(3 131)	(7 000)
სხვა ხარჯი	(471 212)	(229 000)
საწვავი	(60 041)	
ტრანსპორტირების ხარჯი	(8 650)	
იჯარის ხარჯი	(52 582)	(24 000)
ოფისის ხარჯი	(55 623)	
კომუნალური ხარჯები	(110 948)	(88 000)
კომუნიკაციის ხარჯები	(663)	(1 000)
რემონტი	(13 690)	(3 000)
საკონსულტაციო მომსახურების ხარჯი	(8 909)	
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	(335 551)	(295 000)
სულ	(2 355 470)	(1 488 000)

შენიშვნა 13

მიწოდების ხარჯები

	2023	2022
რეკლამის ხარჯი	(102 458)	(35 000)
მარკეტინგული ხარჯი	(163)	
დისტრიბუტორების შრომის ანაზღაურება	-	
ტრანსპორტირების და შენახვის ხარჯები	(99 289)	(14 000)
მიწოდების სხვა ხარჯები		(138 000)
სულ	(201 910)	(187 000)

შენიშვნა 14

სხვა შემოსულობა/(ზარალი) - ნეტო

	2023	2022
საკურსო სხვაობით მიღებული საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	705 786	470 000
სულ	705 786	470 000

„გიუანი“

ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ლარში)

შენიშვნა 15

სხვა ხარჯები

	2023	2022
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	(683 542)	(24 000)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	(36 409)	
სულ	(719 951)	(24 000)

შენიშვნა 16

ფინანსური შემოსავალი და დანახარჯები

ფინანსური ხარჯი	2023	2022
ამორტიზებული ღირებულებით შეფასებულ ფინანსურ ვალდებულებებზე დარიცხული საპროცენტო ხარჯი	(1 283 422)	(1 067 000)
სულ ფინანსური დანახარჯები	(1 283 422)	(1 067 000)

ფინანსური შემოსავალი

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებულ ფინანსურ აქტივებზე დარიცხული საპროცენტო შემოსავალი	-	
სულ ფინანსური შემოსავალი	-	-

ნეტო ფინანსური დანახარჯები	(1 283 422)	(1 067 000)
-----------------------------------	--------------------	--------------------

შენიშვნა 17

დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები

საწარმოს აკონტროლებს ბატონი კახა გიუაშვილი, 01024006334 , რომელიც ფლობს წილის 100%.

დაკავშირებულ მხარეებისგან მიღებული სესხები

	2023	2022
ღირეჭტორებს და უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობისგან მიღებული სესხები:		
საწყისი ნაშთი	4 352 007	5 809 114
პერიოდის განმავლობაში დაფარული სესხები	(1 686 174)	(2 029 970)

„გიუანი“

ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ლარში)

პერიოდის განმავლობაში მიღებული სესხები	544 882	572 785
დარიცხული პროცენტი	224 165	295 029
მიღებული პროცენტი	(118 106)	(294 951)
სულ პერიოდის ბოლოს	3 316 774	4 352 007

კომპანიას დამფუძნებელი კახა გიაშვილისგან აქვს აღებული გრძელვადიანი სესხი ლარში წლიური 18 %-იანი საპროცენტო განაკვეთით, დოლარში წლიური 6%-იანი საპროცენტო განაკვეთით და დოლარში წლიური 6%-იანი საპროცენტო განაკვეთით.

დირექტორებსა და უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობაზე გაცემული ანაზღაურება

	2023	2022
შრომის ანაზღაურება მთლიანად	334	-
სულ	334	-

შენიშვნა 18

ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და გამოსაცემად ნებადართულია დირექტორთა საბჭოს მიერ 2024 წლის 20 სექტემბერს.